

ორგანული მილექულების და მათი გარდაქმნების  
მათემატიკურ-ქიმიური გამოკვლევა  
მ. გვერდწითელი<sup>ა</sup>, ქ. გიორგაძე<sup>ბ</sup>

ელ-ფოსტა: [mikheil.gverdtsiteli@tsu.ge](mailto:mikheil.gverdtsiteli@tsu.ge)

<sup>ა,ბ</sup> ქიმიის დეპარტამენტი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა  
ფაკულტეტი,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ი. ჭავჭავაძის 3

ქვაზი-ანბ-მატრიცების მეთოდის ფარგლებში ჩატარებლია კარბონმჟავების მათემატიკური გამოკვლევა. აგებულია სამი კორელაციური განტოლება. კორელაციები დამაკმაყოფილებელია. აღნიშნული ნაერთებისთვის გამოთვლილია შენონის ინფორმაციის ენტროპიის მნიშვნელობები ფორმულით:

$$H = -\sum p_i \log p_i$$

ქვაზი-ანბ-მატრიცების მეთოდის ფარგლებში შესწავლილია აგრეთვე აცეტილენის ტრიმერიზაციის და ციკლოტრიმერიზაციის რეაქციები. ეს რეაქციები მიმდინარეობს მოლექულური სირთულის ზრდით. აცეტილენის ტრიმერიზაციის რეაქცია მიმდინარეობს შენონის ინფორმაციის ენტროპიის ზრდით, აცეტილენის ციკლოტრიმერიზაციის რეაქციის შემთხვევაში კი შენონის ინფორმაციის ენტროპია არ იცვლება.